

**საეკლესიო მუსიკა მართლმადიდებელ დიასპორაში:  
ქართულ საბალოხელთა ინგლისურად  
შესრულების საკითხი**

**შესავალი**

ქალაქ ნიუ იორკის ღვთისმშობლის საფარველის სახელობის ტაძარში მრევლის 33 პროცენტს ქართველი ემიგრანტები შეადგენენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკის მართლმადიდებლური ეკლესიები ათასობით ქართველი ემიგრანტის თავშეყრის ადგილად და მათი კულტურული თვითმყოფადობის ნავსაყუდლად იქცა. მაშინ, როცა ქართველი ემიგრანტები თავშესაფარს პოულობენ ეკლესიაში და თავს მისი ცხოვრების ნაწილად გრძნობენ, მართლმადიდებლურ-ქრისტიანული დიასპორა მდიდრდება და განსაკუთრებულ მრავალფეროვნებას იძენს ქართველების სულიერი და კულტურული ტრადიციებით. მრავალ ძველისძველ ქრისტიანულ კულტურასთან თანაზიარობა დიასპორული მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი შენაძენია. იმ ლიტურგიულ ტრადიციათა შორის, რომელიც ყოველ ემიგრირებულ ჯგუფს ჩააქვს თან, საგალობლები ყოველთვის ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს ეკლესიის მრევლში. წარმოდგენილ ნაშრომში მინდა დავაყენო საკითხი ქართული პოლიფონიური საგალობლების ინგლისურ ენაში სისტემატური ადაპტაციის შესახებ, რათა შემდგომში მათი გამოყენება მოხდეს ამერიკისა და სხვა ინგლისურენოვანი ქვეყნების მართლმადიდებლურ ეკლესიებში. თემაში განხილული იქნება ამ უმნიშვნელოვანესი სულიერი და შემოქმედებითი წამოწყების ისტორიული პრეცედენტები და თეოლოგიური ახსნა-განმარტებები, ამასთანავე, ის ტექნიკური და სულიერი სირთულეები, რაც ამ პროცესთან იქნება დაკავშირებული.

**რატომ ინგლისური?**

მართლმადიდებლურ ეკლესიაში ღვთისმსახურების აღსავლენად ადგილობრივი ენის გამოყენების მრავალი მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი არსებობს, რასაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ მოციქულთა დროიდან, როცა ისინი ქრისტიანობას უქადაგებდნენ ბერძნებსა და სხვა არაებრაელ ერებს. მეცხრე საუკუნეში წმ. კირილემ და მეთოდემ სლავურ ენაზე თარგმნეს საეკლესიო მსახურების წიგნი, რაც ეკლესიის ისტორიაში მისიონერული საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტად არის შესული (Ware, 1986: 83). თუკი უფრო ახალ ისტორიას გავიხსენებთ, ვნახავთ, რომ პირველმა თანამედროვე ამერიკელმა მისიონერებმა შეისწავლეს ალიასკაზე მცხოვრები ალეუტის ხალხის ენა, რათა ქრისტიანობა ექადაგათ მათთვის გასაგებ ენაზე. წმინდა ინოკენტიმ (ვენიაშინოვმა), რომელიც მსახურებდა ალიასკასა და აღმოსავლეთ ციმბირში 1823 – 1868 წლებში, ალეუტურ ენაზე

თარგმნა წმინდა მათეს სახარება, წმინდა ლიტურგია და კატეხიზმო (იქვე: 187-88). დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (გერმანია, ჰოლანდია, ესპანეთი, იტალია) არის ისეთი მართლმადიდებლური ეკლესიები, რომლებიც ნირვა-ლოცვის ბიზანტიურ სტილს იყენებენ (იქვე: 1986:192). როგორც ეპისკოპოსი კალიტოსი (უეარი) წერს: „მსახურებისთვის მართლმადიდებლური ეკლესია ხალხის ენას იყენებს: ანტიოქიაში არაბულს, ჰელსინკში ფინურს, ტოკიოში იაპონურს, ნიუ იორკში (როცა არის ამის საჭიროება) ინგლისურს“ (იქვე: 273).

ჩრდილოეთ ამერიკის ორმა უდიდესმა ეპარქიამ, ანტიოქიის ეპარქიამ და ამერიკის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ინგლისური ენა დაადგინეს საეკლესიო მსახურების ძირითად ენად (თუკი ყოველთვის სავალდებულო ენად არა). ღვთისმსახურების იმ ენაზე აღსრულება, რაც გასაგებია საშუალო ამერიკელისთვის, მართლმადიდებლებსა და არამართლმადიდებლებს შორის ძირითად განმასხვავებლად გვევლინება. სლავურ და ძველ ბერძნულ ენაზე ჩატარებული საეკლესიო რიტუალების შინაარსი მხოლოდ რამდენიმე ელიტარული ფენის განათლებული ადამიანისთვის არის გასაგები, მაშინ, როცა საეკლესიო ღვთისმსახურება, რომელიც ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს, გასაგებია ყველასათვის – დანყებული ამერიკაში დაბადებული მორწმუნეებიდან, დამთავრებული კათაკმეველებამდე. ამის გამო, მათ აქვთ საშუალება სრულად მიიღონ მონაწილეობა საეკლესიო ღვთისმსახურების რიტუალში. ინგლისურ ენაზე ნირვა-ლოცვის ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკლესიის მისიონერული საქმიანობისათვის, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, როგორ არაეკლესიურ საზოგადოებასთან გვაქვს საქმე. მრევლის ეკლექტიკური, მულტიკულტურული წამომავლობის გამო (განსაკუთრებით ამ ორ ეპარქიაში), ინგლისურ ენაზე ჩატარებულ საეკლესიო მსახურებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომაც, რომ იგი ხელს უწყობს ერთიანი მართლმადიდებლური სულის ჩამოყალიბებას იმ მორწმუნეებში, რომლებსაც ფესვები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აქვთ.

შედარებით ახალგაზრდა მართლმადიდებლური საზოგადოებების მიერ საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული ტრადიციების მქონე ხალხისგან ე.წ. ჰიმნოგრაფიის სესხების პრაქტიკასაც მნიშვნელოვანი მაგალითები მოეძებნება. მაგალითად, თავდაპირველად, როცა ქრისტიანობა საქართველოში მოციქულთა დროს იქადაგეს და მოგვიანებით, როცა კაპადოკიელმა წინომ ხელი შეუწყო ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას, ქართული ეკლესიის ლიტურგიკული კულტურა ბიზანტიური მოდელის მიხედვით ვითარდებოდა. ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, როდესაც ქართული ეკლესია თავისი განვითარების პირველ ეტაპზე იყო, სრულდებოდა ბერძნული საგალობლები და, მუსიკაც, ბიზანტიურ მონოფონიურ ტრადიციას ემყარებოდა (ციციშვილი, 2005: 49). ტრადიციული პოლიფონიური მუსიკის კვლევის საერთაშორისო ცენტრი წერს: „რვა ხმიანი სისტემის დაკანონების შემდეგ, მუსიკოსმა ჰიმნოგრაფებმა, სახელად *მეხელებმა*, ბერძნულიდან [ქართულად] თარგმნეს ჰიმნოგრაფიული კანონები და დაანესეს ტექსტები კანონიკური მელოდიებისათვის“ ([www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge)).

მართალია, არსებობს დამადასტურებელი ფაქტები იმისა, რომ საკუთრივ ქართული ჰიმნოგრაფიის სკოლა მე-7 საუკუნეში შეიქმნა (იქვე:), ერთხმიანი ბიზანტიური ჟღერადობის (მელოდიის) სრული ჩანაცვლება სამხმიანი პოლიფონიით ქართულ ეკლესიაში X – XII საუკუნეებამდე არ მომხდარა. ერთი სიტყვით, ქრისტიანობის საქადაგებლად საქართველოში მოციქულთა მოსვლიდან ქართულ ეკლესიაში სამხმიანი პოლიფონიური საგალობლების როგორც ჰიმნოგრაფიული წესის დამკვიდრებამდე მთელი ათი საუკუნე გავიდა. თუმცაღა საქართველოს მაგალითი არ არის ერთადერთი. როცა სლავებმა ქრისტიანობა მიიღეს, „მათ მიიღეს ბიზანტიური პატრიმონია, რაც ასევე გულისხმობდა მუსიკასაც, რომელიც ბიზანტიური ეკლესიის მიერ იყო შექმნილი. მათ მიიღეს ის, ისწავლეს იგი და შემდგომში შეცვალეს საკუთარი კულტურული კონტექსტისა და დროის მიხედვით“ (Pulcini, 2004:29). მართლმადიდებლური კულტურული ტრადიცია არის არა უცვლელი, არამედ მუდამ განახლებადი. კათოლიკური ეკლესიისაგან განსხვავებით, რომელიც უკანასკნელ დრომდე მუდმივად მოითხოვდა ლათინურის საყოველთაო გამოყენებას, მართლმადიდებლური ეკლესია ყოველთვის ემხრობოდა საეკლესიო მსახურების ხალხის ენაზე ჩატარებას (Ware, 1986: 83, 273). ეს მართლმადიდებელ ქრისტიანთა განსაკუთრებული პრივილეგიაა.

### რატომ ქართული პოლიფონია?

ისევე, როგორც თავად ამერიკა, ამერიკული მართლმადიდებლური ეკლესიაც გამოირჩევა თავისი მულტიკულტურული შემადგენლობით. ეკლესიაში წარმოდგენილი თითოეული ჯგუფის გამოცდილების გათვალისწინება და ამავდროულად ეკლესიის კანონების მორჩილება ურთულეს ამოცანებს სახავს მღვდელმსახურთა, საეკლესიო გუნდის ხელმძღვანელთა და თავად გუნდის წევრთა წინაშე. უძველესი ქრისტიანული ტრადიციების მქონე საგალობლების საეკლესიო ღვთისმსახურების რეპერტუარში ჩართვა ამერიკული მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა ძლიერი საზოგადოების შეგრძნების ჩამოსაყალიბებლად იმ მორწმუნეთა შორის, რომლებიც ცხოვრობენ თავიანთი ისტორიული ქრისტიანული ქვეყნების საზღვრებს გარეთ. მაგალითად, ანტიოქიის ეპარქიის გუნდი, რომელიც ძირითადად ბიზანტიური მონოფონიური სტილით გალობს, ასევე კარგად იცნობს და ასრულებს არაერთ რუსულ, უკრაინულ, სერბულ და რუმინულ საგალობლებს. უფრო მეტიც, ამერიკის მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურებაზე მისული ადამიანი ძირითადად მოისმენს რუსული სტილის საგალობლებს, თუმცაღა აქვე გაიგონებს სხვა ტრადიციის სტილში შესრულებულ კვერექსს და ზიარების საგალობელს. ამერიკული მართლმადიდებლური ეკლესიის მოკლე ისტორიაში ლიტურგიული საგალობლების ადაპტირება მოხდა უმთავრესად რუსული, უკრაინული, სერბული, რუმინული და ბერძნული (ბიზანტიური) ტრადიციებიდან, ხოლო ქართული ტრადიციების საგალობლები მხოლოდ ახლა იწყებს ინგლისურად გამოჩენას.

ის ქართული საგალობლები, რომლებიც შედარებით ხელმისაწვდომია, ძირითადად არის ცუდი ხარისხის, ისეთი ხალხის შესრულებით, რომლებიც

ნაკლებად იცნობენ ქართული საგალობლების თავისებურებებს. ამის ყველაზე კარგი მაგალითი ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობლის – „შენ ხარ ვენახის“ მუსიკალური მასალის „რომელი ქერუბიმთა“ საგალობლად ადაპტირებაა ინგლისურში. იგი გავრცელდა და გამოიყენება აშშ-ს ბევრი მართლმადიდებლური ეკლესიის საეკლესიო მსახურებაში. მაშინ, როცა „შენ ხარ ვენახი“ ეკლესიაში სრულდება, როგორც ჯვართან მთხვევის დროს შესასრულებელი საგალობელი, ან ღვთისმშობლის სახელობის ხატის დღესასწაულებზე. მისი მელოდია უკვე გამოიყენება არა მხოლოდ როგორც საგალობელი „რომელი ქერუბიმთა“, არამედ როგორც საქორწილო საგალობელიც, რომელსაც ტექსტად უდევს დავითის ფსალმუნები. დაინტერესებული ადამიანი უბრალოდ Google-ის საძიებო პროგრამის მეშვეობითაც იოლად ნახავს, რომ „შენ ხარ ვენახმა“ უკვე ფაქტობრივად პოპ-სიმღერის სტატუსი დაიკვიდრა მართლმადიდებლებს შორის და მეტიც, „ახალი თაობის“ სულიერების მიმდევარ არამართლმადიდებლებს შორისაც კი.

რა უნდა ვისწავლოთ „შენ ხარ ვენახის“ ვარიაციების ასეთი სწრაფი გავრცელების მაგალითით? მრავალი ადამიანი, მათ შორის თავად ქართველებიც, ქართულ საგალობლებს ეპყრობიან საკუთარი სურვილისამებრ ან მღერიან ეკლესიაში მათი ფუნქციისა და საღვთო დანიშნულების ცოდნის გარეშე. თუმცადა ყველა ეს საგალობელი შექმნილია გარკვეული მიზნით, საეკლესიო მსახურებაში ყველა მათგანს აქვს გარკვეული ფუნქცია. როგორც წარმოშობით რუსი-ამერიკელი მღვდელი და კომპოზიტორი მამა სერგეი გლაგოლევი წერს, „საღვთო დანიშნულება განსაზღვრავს სტილს“ (1997). გარკვეულწილად, რა თქმა უნდა, კარგია, რომ ქართული პოლიფონიური საგალობლებით ხალხი დაინტერესდა მათი ესთეტიკური ღირებულების გამო, მაგრამ აუცილებელია გაკონტროლდეს მოყვარულთა შესრულება პროფესიონალების მიერ, რათა არ მოხდეს ამ საგალობლების გამოყენება ეკლესიის მიერ დადგენილისაგან განსხვავებული მიზნებით.

### **მოსალოდნელი სირთულეები და მათი გადაჭრის გზები**

2004 წლის ზაფხულში მე გავუზიარე ჩემი იდეები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს ქართული გალობის ინგლისურ ენაზე სისტემატური ადაპტაციის შესახებ და მივიღე კურთხევა მისი უწმინდესობისგან ამ პროექტის განხორციელებაზე. მიუხედავად ამისა, არის გარკვეული სირთულეები, რასაც შეიძლება წავანყდეთ პროექტის მიმდინარეობის პროცესში. ეს სირთულეები შეიძლება იყოს როგორც სულიერი და იდეოლოგიური, ასევე ტექნიკური. თავდაპირველად განვიხილავ სავარაუდო სულიერ და იდეოლოგიურ სირთულეებს.

მრავალ მცოდნე პიროვნებას გამოუხატავს თავისი შენიშვნა, რომ ქართული გალობის ინგლისურ ენაზე ადაპტაციის შესახებ არსებობს რაღაც ბუნებრივი დაბრკოლება. ასევე არსებობს შენიშვნა, რომ უძველესი ლიტურგიული მსახურებების თანამედროვე ენაზე ჩატარება არის რაღაც „არანმინდა.“ ეს შესაძლებელია მართალიც იყოს ნმინდა გაგებით. მე უკვე ავღნიშნე, თუ როგორ განიცადეს ისტორიული ცვლილებები მართლმადიდებ-

ლურმა ტრადიციებმა. სწორედ ეკლესიის მთლიანობის გასაძლიერებლად ცვლილებისა და ადაპტაციის ეს სურვილი არის თვითონ სახე მართლმადიდებლურ-ქრისტიანული ტრადიციების „სინმინდისა.“ ასევე, საჭიროა, წინასწარ ვიფიქროთ ქართული დიასპორის პირველი თაობის სულიერი ცხოვრების ახლო მომავალზეც. მათგან განსხვავებით, ახალი თაობა უფრო მეტ ყურადღებას აქცევს კულტურული ტრადიციების სინმინდეს. ამ ამერიკელმა ქართველებმა თავი შეიძლება უცხოოდ იგრძნონ ეკლესიაში, სადაც მსახურებები მხოლოდ იმ ენაზე ტარდება, რომელზეც მხოლოდ მათ ოჯახებში საუბრობენ და სხვაგან არსად.

პროექტი, რომელსაც მე ვიცავ, განხორციელებადია, რადგან არსებობს საერთო ენა დასავლურ მუსიკალურ ნოტაციაში. ამას მივყავარ მეორე სიძნელემდე: იმდენად, რამდენადაც ნოტაციის საერთო ენამ შესაძლებელია გახადოს ქართული საეკლესიო პოლიფონიის ფართო მასშტაბით გავრცელება, ასევე ერთი კონკრეტული საგალობლის ვერსიის დაფიქსირებამ შეიძლება ნაკლებად სასურველი ეფექტი მოახდინოს შემდეგ თაობაზე. ნოტებით ჩანერილმა ერთმა საგალობელმა შეიძლება დააკანონოს მხოლოდ ერთი ვერსია ამ კონკრეტული საგალობლისა, რომელსაც აქვს შესრულების რამდენიმე ვერსია. როგორც დიმიტრი კონომოსი წერს მე-9 საუკუნის ნოტაციის შესახებ, „დადებითია ის, რომ მელოდიის დაკანონებული ვერსია შესაძლებელია ცვლილებისა და გაუარესების გარეშე გავრცელდეს სხვა მომღერლებში, რომლებიც უფრო შორს არიან ტრადიციებისგან. უარყოფითია ის, რომ საგალობლის მხოლოდ ერთი კონკრეტული ვერსია ხდება დაკანონებული.“ (2004:2). მაგრამ იგივე პროცესი არ იყო დაწყებული აქ, საქართველოში, როდესაც ფილიმონ ქორიძემ მე-19 საუკუნეში დაიწყო ქართული საგალობლების ჩანერა? ჭეშმარიტად ის ჰიმნები სამუდამოდ შემოინახა, მაგრამ იმავდროულად ცოცხალი ზეპირი ტრადიცია მშრალად იქნა გადმოღებული ფურცლებზე. არის კი საკუთარ ენაზე ქართული გალობის თანამედროვე სანოტო ჩანაწერები იმპროვიზაციულობის ნაკლებად შემზღვეველი, ვიდრე ზეპირი ტრადიცია თარგმნილი ტექსტით?

მართლმადიდებლურ ეკლესიაში მუსიკის უმთავრესი ელემენტი თვით მუსიკა კი არ არის, არამედ ტექსტია, რომელიც მოგვეწოდება მუსიკის დახმარებით. ამას მივყავარ მესამე სირთულემდე – და პირველ რეალურ ტექნიკურ სირთულემდე. ეს სირთულე არის ინგლისური ტექსტის მკაფიოებისა და იმავდროულად ქართული დახლართული პოლიფონიური სტრუქტურის სიზუსტის შენარჩუნებაში. კანონიკურად მართლმადიდებლური საგალობელი უნდა მიყვებოდეს იმ ენაზე შედგენილ ტექსტს, რომელ ენაზეც ეს საგალობელი იგალობება. მაშასადამე, საგალობლის ერთი ენიდან მეორეზე გადატანა იწვევს გარკვეულ სირთულეებს. ამ მიზეზით საგალობლის ორიგინალურმა რიტმმა შეიძლება მოითხოვოს მცირე ცვლილებები, ასევე ცვლილებები შეიძლება განიცადოს ორიგინალური მელოდიის ბგერებმაც. მაგრამ ამ ცვლილებებმა არ უნდა შეცვალონ ორიგინალური საგალობლის ყდერადობა. ტექსტის ქართულიდან ინგლისურზე თარგმნა მოითხოვს ორიგინალური ქართული საგალობლის ლოგიკის გაგებასა და იმის განსაზღვ-

რის უნარს, თუ რომელი მუსიკალური დეტალი შეიძლება ამოვარდეს საგალობლიდან და რომელი უნდა დარჩეს; ასევე მოითხოვს ქართული ენის გრამატიკისა და მისი სინტაქსური სტრუქტურის სრულყოფილ ცოდნასა და ინგლისური ენის თავისუფალ ფლობას.

რადგან ინგლისური ენის სიტყვათა წყობა განსხვავებულია ქართულისგან, ასევე აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ტექსტის მნიშვნელობა არ უნდა შეენიროს მელოდიის ესთეტიკურ მიმზიდველობას. წესით, ინგლისური ტექსტი, რომელიც დაიდება ქართულ მელოდიაზე, უნდა შედგეს ისევე ბუნებრივად, როგორც ორიგინალური ქართული ვერსია. ესე იგი, ტექსტი არ უნდა განცალკევდეს მელოდიისგან ადაპტირების დროს. კარგად აწყობილი მელოდია, რომელიც მორგებულია ტექსტზე, დაეხმარება მსმენელს ტექსტის დამახსოვრებაში. სწორედ ამიტომ ვიყენებთ მუსიკას ლოცვისთვის მართლმადიდებლურ ეკლესიაში.

#### აქედან სად მივდივართ?

იმდენად, რამდენადაც ქართული გალობა „ახალი ხილია“ ამერიკული მართლმადიდებლური ეკლესიებისთვის და ბევრი სიძნელები არსებობს, რომლებზედაც მე უკვე ვისაუბრე, მე მსურს ხაზი გავუსვა იმას, რომ ეს პროექტი უნდა იქნას დანყებული ყველაზე იოლი საგალობლებით. თავიდან ინგლისურენოვანმა საზოგადოებამ იმ საგალობლების შესწავლა და თავიანთ რეპერტუარებში შეტანა უნდა დაიწყო, რომლებიც ყველაზე ხშირად იგალობება. ასეთებია, მაგალითად: „წმინდაო ღმერთო,“ ზიარების საგალობელი „ხორცი ქრისტესი მოვილოთ,“ და წმინდა სვიმონ მირქემელის „ან განუტევე მონა შენი.“ ეს საგალობლები რეგულარულად იგალობება თითქმის ყველა წირვაზე. ვინაიდან ამ საგალობლების ტექსტები ნაცნობია მრევლისთვის, ამიტომ ტექსტის მნიშვნელობა არ უნდა დაჩრდილოს უცნობმა მუსიკამ. ის საგალობლები, რომლებიც ქართულ სადა კილოებშია, უნდა გამოყენებულ იქნას, როგორც მთავარი მასალა ადაპტაციისთვის ხოლო გამშვენება მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი.

ქართველ სპეციალისტთა თანამშრომლობა ამ პროექტის განხორციელებაში სავსებით აუცილებელია. ქართული ტრადიციული გალობის ინგლისურ ენაზე ადაპტაციისთვის აუცილებელია კონსულტაციები მუსიკოლოგებთან, მაგალობლებთან, ფოლკლორისტებთან, და სხვა პირებთან, რომლებიც ახლოს არიან ქართულ ტრადიციულ გალობასთან და აქვთ პროფესიული თანამშრომლობისა და მართლმადიდებლურ-ქრისტიანული ერთობის სურვილი. ამ პროექტის განსახორციელებლად მე შემოგთავაზებდით, რომ დაფუძნებულიყო ოფიციალური საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც შევიდოდნენ ქართველი სპეციალისტები და ასევე დამყარებულიყო ოფიციალური საქმიანი ურთიერთობები თბილისის კონსერვატორიასა და საქართველოს საპატრიარქოს გალობის ცენტრთან. ასევე, ვარჩევდი, რომ მოედელად აგველო ანტიოქიის ეპარქიის „ბიზანტიური პროექტი,“ რის მიხედვითაც ბიზანტიური გალობა სრული ლიტურგიკული წლისთვის გადმოტანილი იქნა დასავლურ ნოტაციაზე და შედგენილ იქნა ინგლისურ ენაზე ამე-

რიკულ ეკლესიებში გამოსაყენებლად. მაშინ, როდესაც ქართულიდან ინგლისურზე გალობის გადატანის არეალი არ არის ფართო, ბიზანტიურ-ინგლისური პრეცედენტიდან აშკარად ბევრი შეიძლება ვისწავლოთ. იმედია, თქვენთვის საინტერესო იქნება ეს პროექტი და მოხარული ვიქნები, თუ გამიზიარებთ თქვენს იდეებსა და მხარს დაუჭერთ მას.

### დასკვნა

ჩრდილო ამერიკაში მართლმადიდებელ ქრისტიანებს შორის უდიდესი ენთუზიაზმი იგრძნობა ქართული საეკლესიო გალობის მიმართ. მეტად მნიშვნელოვანია ამ ახლადშექმნილი ინტერესის წარმართვა, რაც სასარგებლო იქნება ეკლესიისთვის. მე უკვე აღვწერე, თუ როგორ გავრცელდა უკანასკნელ წლებში ინგლისურ ენაზე გადატანილი ქართული გალობის მეტად უხარისხო ვერსიები. მართებულად მიმაჩნია, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგას იმისთვის, რომ ექსპერტებმა ყურადღება გამოიჩინონ ამ პრობლემის მიმართ. უდიდესი ყურადღებითა და სპეციალისტთა ხელმძღვანელობით ქართულმა საეკლესიო პოლიფონიამ შეიძლება გარკვეული ადგილი მოიპოვოს მართლმადიდებელი დიასპორის ცხოვრებაში და, ამავე დროს, დაეხმაროს ქართველ ემიგრანტებს, თავი ოდნავ მაინც იგრძნონ საკუთარ სამშობლოში. ეპისკოპოსმა კალისტოსმა დასვა მეტად დამაფიქრებელი კითხვა მართლმადიდებელ ეკლესიაში ეთნიკურ თავისებურებასა და კულტურულ უნივერსალობას შორის იდეალური ბალანსის შესახებ. ამ კითხვას გავიმეორებ: შესაძლებელია თუ არა, რომ ეროვნული ტრადიციების საუკეთესო ელემენტები შევინარჩუნოთ ისე, რომ არ დაირღვეს მართლმადიდებლობის უნივერსალობა?

საბოლოოდ, მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს პროექტი ხელს არ შეუშლის თბილისში დანყებული ნაბიჯების გადადგმას ტრადიციული პოლიფონიის შესწავლასა და აღორძინებაში. არამედ, ამ ორმა პროექტმა უნდა შეაჯერონ ერთმანეთი და გახდნენ საერთო საქმის დამხმარენი. ქართული საეკლესიო გალობის ინგლისურად შესრულება მნიშვნელოვნად გაზრდის არა-ქართველებისთვის მუსიკის წვდომის შესაძლებლობას, რაც გაზრდის საერთაშორისო დახმარების წვლილს მის კვლევასა და აღორძინებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე ინტერესი ქართული გალობის შესახებ საგრძნობლად გაიზარდა, მუსიკისა და მყარი ინფორმაციის მოპოვება მის შესახებ მეტად შეზღუდულია. ქართული საგალობლების ინგლისურ ენაზე არსებობა მომავალში გაზრდის ტრადიციების მიმართ ინტერესს და წარმართავს მიმართულებას, რომელიც სასარგებლო იქნება ეკლესიისთვის. თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ მაგალითებს და დავრჩებით სამოციქულო ტრადიციების მიმდევარნი, მაშინ მივხვდებით, რომ ქართული საეკლესიო სადა გალობის ინგლისურად ადაპტირების საქმეს აქვს პოტენცია, რომ უფრო მეტად გააერთიანოს და გაავრცელოს ჩვენი სარწმუნოება მთელს მსოფლიოში.

### References

Conomos, Dr. Dimitri. (2004). *Early Christian and Byzantine Music: History and Performance*. Available at: [http://www.monachos.net/cgi-bin/printable\\_new/print.cgi](http://www.monachos.net/cgi-bin/printable_new/print.cgi). Accessed 7 December 2004.

Glagolev, Father Sergei. (1997). *Some Personal Thoughts on the Composition of Liturgical Music*. Orig. printed in *Jacob's Well* (newspaper of the Orthodox Church in America's Diocese of New York and New Jersey). Available at: [http://www.orthodoxresearchinstitute.org/articles/music/glagolev\\_composition\\_music.htm](http://www.orthodoxresearchinstitute.org/articles/music/glagolev_composition_music.htm). Accessed 15 September 2006.

International Research Center for Traditional Polyphony. *Sacred Polyphony*. Available at: [www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge). Accessed 17 September 2006.

Tsitsishvili, Nino. (2005). *National Unity and Gender Difference in Georgian Traditional Song-Culture: Ideologies and Practices*. Ph.D. dissertation, Monash University.

Ware, Timothy (Bishop Kallistos of Diokleia). 1986 (1963). *The Orthodox Church*. New York: Viking Penguin.